პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 125 (823)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მეტი ყურადღება დისციპლინას!

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ დისციპლინის შესახებ. ბევრი მიღწევებიც გვაქვს ამ მხრივ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს მთელ წითელ-არმიელთა მასას სავსებით შეგნებული აქვს დისციპლინის ამაღლების და განმტკიცების აუცილებლობა წითელი არმიის რიგებში.

მაგრამ მიუხედავათ ამისა კიდევ აქვს ადგილი აქა იქ უდისციპლინობის შემთხვევებს, თავისთავად ესენი წვრილმანებია, მაგრამ ეს წვრილმანები საერთო ჯამში საგრძნობ შემაფერხებელ ძალათ იქცევიან.

ავიღოთ მაგალითად ორი დღევანდელი კორესპონდენცია ჩვენი ნაწილების ცხოვრების შესახებ. ერთი მოგვითხრობს იმას, რომ ზოგიერთი ჩვენი წითელი არმიელები ხშირად ყაზარმის გარეშე დასეირნობენ ქუდლოთ და საერთოდ არსებულ ფორმას არ იცავენ: ამ კორესპონდენციაში აგრეთვე აღნიშნულია ის რომ ბევრი წითელ-არმიელები ხელს უწყობენ სიბინძურის და ანტი-ჰიგიენური პირობების გავრცელებას.

მეორე კორესპონდენციაც ეხება იმავ არსებულ ფორმის არ დაცვის შემთხვევას: წითელი არმიელი ქალაქში დასეირნობს სამოქალაქო ტანსაცმელში.

დასაშვებია განა ეს? წითელი-არმიაში არსებულ წესების დაცვაა? არა. ეს არის წითელი არმიის კანონებისა და წესების უგვერდის ახვევა—რაც იმავე დისციპლინის დარღვევას ნიშნავს.

დისციპლინა უნდა დაიცვა არა თუ მარტო წითელ ყაზარმაში, არამედ მის გარეშეც. ეს კარგად უნდა შეითვისონ ჩვენმა წითელ-არმიელებმა.

შეგნება, სიდინჯე, თავდაჭერილობა წითელ-არმიელს უნდა ახასიათებდეს, როგორც არმიის რიგებში ისე მის გარეთაც.

ერთ წუთს არ უნდა დაივიწყოს მან თავისი მაღალი სახელწოდება მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მოქალაქე—მეომრისა.

**ყოველგან და ყოველთვის წითელი არმიელი უნდა იყოს დისციპლინის, წესრიგის და შეგნების მაგალითი ე. ი. წვრილმანებშიაც.**

რა წითელი-არმიელია ის, რომელიც სიბინძურის გავრცელებას უწყობს ხელს? შეგვიძლია მას შეგნებული მოქალაქე ვუწოდოთ ან რევოლიუციონურ დისციპლინით გამსჭვალულ მეომართა რიცხვს მივაკუთვნოთ?

არა.

ის წითელი-არმიელი, რომელიც ამას ჩადის ვერც კარგი მეომარი იქნება და ვერც დისციპლინის დამცველი წითელ ჯარში.

ამიტომაც ამხ. წითელ-არმიელებმა ასეთ „წვრილმანებს" დისციპლინის დარღვევისა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, თვით უნდა იზრუნონ ასეთების აღმოფხვრაზე და აგრეთვე ერთი მეორესაც თვალყური ადევნონ.

სამუდამოთ ბოლო მოუღოთ როგორც ყოველგვარ წვრილმან შემთხვევებს დისციპლინის დარღვევისა და ეს უკანასკნელი დავაყენოთ ისეთ დიდ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არასდროს არ მდგარა.

## ასეც უნდა მომხდარიყო.

საქართველოში წასული წლის აგვისტოში მომხდარ მენშევიკების ავანტიურამ ბევრ ანტი-კომუნისტურ პარტიებს და ანტი-საბჭოთა ელემენტებს აუხილა თვალები და დაარწმუნა, რომ ეს მართლაც იყო ავანტიურა პარიზის მიერ მოწყობილი, მიმართული საქართველოს მუშების და გლეხების თავისუფლების და ინტერესების წინააღმდეგ.

ამ ავანტიურამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა საქართველოს კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებს, და კერძოთ მათ შორის მენშევიკურ პარტიას სრულიად ჩამოაცალა მათზე შერჩენილი მუშების უკანასკნელი ნაწილი და დააყენა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურად განმტკიცებისა და ეკონომიურ აღორძინების შედეგათ მივიღეთ ის, რომ 1923 წელში ჩვენ მოწამე გავხდით საქართველოს მთელი რიგი ანტი-კომუნისტური პარტიების და მათ შორის ძლიერი მენშევიკური პარტიის დაშლისა, თვითლიკვიდაციისა.

აღნიშნულ წელში მენშევიკურ პარტიის სხეულს ჩამოშორდა მთელი მისი მუშური ხერხემალი და დადგა კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

ამის შემდეგ დაიწყო „საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია.

მიმდინარე წლის მაისის უკანასკნელ რიცხვებში თვისი პარტიის ლიკვიდაციისათვის მოიწვია კონფერენცია საქართველოს ყოფილ გაერთიანებულ დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციამაც.

ამ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობას მეტ ნაწილად შეადგენდენ სტუდენტობა და საშუალო სასწავლებელთა მოსწავლეები.

მათ კონფერენციაზე გამოტანილი დადგენილებით დაგმეს თავიანთი წარსული მუშაობა.

პარტია საჯაროთ გამოაცხადეს დაშლილად და მოუწოდეს ყველას დადგენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

ამითი კიდევ მოხდა ერთი ანტი-კომუნისტური ორგანიზაციის დაშლა, თვითლიკვიდაცია, თუმცა უფრო გვიან, ვიდრე საქართ. ატი-კომუნისტური სხვა პარტიებისა.

ნათქვამია სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო.

მ. ი.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

**პეკინის ეროვნულ უნივერსიტეტის პროფესორები მოითხოვენ ინგლისისა და იაპონიის რწმუნებულთა გაყვანას ჩინეთიდან. შანხაის მდგომარეობა სერიოზულია. გაფიცულია 50000 კაცი.**

ამერიკის მისიონერთა უნივერსიტეტის პროფესორებმა გამოუშვეს დეკლარაცია, რომელშიაც გმობენ პოლიციის მოქმედებას შანხაიში, მოითხოვენ საქმის გამოძიებას და დაზარალებულთა დაკმაყოფილებას.

გრძელდება შეტაკება ჩინეთსა და უცხოელ ჯარებს შორის. მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობა გამოურკვეველია.

შანხაიში გაგზავნილია უცხოეთის სამხედრო გემები.

**შანხაის მასწავლებელთა დეპეშა კარახანს.**

შანხაის მასწავლებელთა კავშირმა გაუგზავნა კარახანს, როგორც დიპლომატიური კორპუსის მამასახლისს, დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ, რათა უცხოეთის ელჩებმა უბრძანონ შანხაის პოლიციას შესწყვიტონ რეპრესიები და პოლიციის ფუნქციები უცხოელთა კვარტალში შანხაიში გადაეცეს ჩინეთს.

## თანაგრძნობის ნოტა.

კარახანმა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა თანაგრძნობის ნოტა მუშებისა და სტუდენტების დახვრეტის გამო შანხაიში.

## შანხაიში ძლიერდება გაფიცვები.

**შანხაიში გაიფიცა ტელეფონის მოსამსახურეები და რამოდენიმე სტამბის მუშები. მუშები თანახმაა გამოუშვან მხოლოდ ჩინური გაზეთები.**

**გაფიცულია იაპონიის საქსოვ ფაბრიკების მუშები. გაფიცვები გადადის სხვა საწარმოო დაწესებულებებზედაც. შანხაიში შესდგა პროფკავშირთა საბჭო.**

**შანხაის ქუჩებს იცავენ ჯავშნიანი ავტომობილები. ჩინეთის ბანკები დახურულია. ინგლისისა და იაპონიის ბანკის ნიშნებს უმეტეს შემთხვევაში არ ღებულობენ ჩინელები.**

## გომინდანი მოუწოდებს ბრძოლის გაგრძელებისაკენ.

### შანხაი არ გადაიქცევა ინგლისის ახალშენად.

**გომინდანის შანხაის ბიურომ გამოუშვა მანიფესტი, სადაც მიაქცევს ჩინეთისა და მთელი ქვეყნების ხალხთა ყურადღებას პოლისმენების მოქმედებას, რომლებიც ებრძოდენ უიარაღო ხალხს. დღევანდელი მოძრაობა მოწმობს იმას, რომ ჩინეთი არსებობს და შანხაი არ გადაიქცევა საბოლოოდ ინგლისის ახალშენად. გომინდანის პარტია მოუწოდებს მთელ ხალხს ნუ შესწყვეტენ ბრძოლას სრული დაიმედებული იმაში, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩინეთი ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვებს.**

## ინგლისის პრესის გამოძახილი.

„ტაიმსი" მოუწოდებს დიდ სახელმწიფოებს შეერთებულად გამოვიდენ ჩინეთის წინააღმდეგ. გაზეთი სწერს, რომ ჩინეთის სტუდენტობამ განზრახ გამოიწვია მღელვარება „ბოლშევიკების პროპაგანდისტების რჩევით"-ო.

„მორნინგ პოსტი" და „დეილი ტელეგრაფი" აცხადებენ, რომ შანხაის ამბებში რამოდენიმედ პასუხისმგებელია კარახანიცო.

„დეილი ექსპრესი" მოითხოვს ინგლისისა და სხვა „სახელმწიფოების ფლოტების დაჩქარებით მოქმედებას.

ლიბერალების გაზეთი „ვესტმინსტერ გაზეტი" სწერს უცხოელ სახელმწიფოების მიერ ძალის ხმარებას მალე მოჰყვება აფეთქებაო.

## იაპონიის ახალი ელჩი მოსკოვში



ტანაკა ტოკიჩი.

მეორე ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუზი" აცხადებს, რომ თუმცა შანხაის ამბებში ბოლშევიკების გავლენა უეჭველია, მაგრამ მღელვარების მთავარი მიზეზები უფრო ღრმაა, ვინაიდან აჯანყება პირველ ყოვლისა მიმართულია ინგლისისა და იაპონიის წინააღმდეგ.

## ჩინეთის მუშები მოუწოდებენ ინგლისის მუშებს.

„დეილი ჰერალდში" გამოქვეყნებულია ჩინეთის მუშების მოწოდება ინგლისის მუშებისადმი, რათა სოლიდარობის გულისთვის მიიღონ ზომები და ხელი შეუშალონ ინგლისის წარმომადგენლებს ჩინეთის მუშათა დევნა შევიწროებაში.

## სპარსეთის აჯანყება ინგლისის კარნახით მოხდა.

სპარსეთის ქურთისტანის აჯანყება ავტონომიის ლოზუნგით მიდის.

მტკიცდება აჯანყების მოწყობაში ინგლისელების მონაწილეობა.

## შეიხ გეიზალი გაათავისუფლეს.

სპარსეთის ძალთა მიერ მაისში დაჭერილი არაბისტანის აჯანყების მომწყობი და მეთაური შეიხ გეიზალი გათავისუფლებულია.

ინგლისის მისიაში მას გაუმართეს ბანკეტი.

## პენლევე მაროკოს მდგომარეობის შესახებ.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პრემიერ პენლევემ განაცხადა, რომ ამ ჟამად მაროკოში დიდი ოპერაციები არ სწარმოებს.

პენლევემ განაცხადა აგრეთვე, რომ როგორც საფრანგეთიდან ჩასულ, ისე ადგილობრივ ჯარების განწყობილება კარგია.

ორშაბათს, 8-ივნისს საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) მოწვეულია ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების დასწრებით, თბილისის საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მოხსენება სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის შესახებ. მომხსენებლნი: ამხ. ამხ. მამია ორახელაშვილი და ფილიპე მახარაძე.

2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო.

ბრიანის განცხადება.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო წარმოებულ მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა განაცხადა, რომ მოკავშირეებს შორის მიღწეულია შეთანხმება გერმანიის პასუხის გარშემო საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

ბრიანმა დაუმატა, რომ საფრანგეთი გაუგზავნის გერმანიას პასუხს მისი ჟენევიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ის ფიქრობს კერძოდ მოელაპარაკოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩემბერლენს.

## მოკავშირეების კოლექტიური ნოტა გერმანიისადმი.

მოკავშირეების ელჩებმა ჩააბარეს გერმანიის რეიხსკანცლერ ლიუტერს კოლექტიური ნოტა; ნოტაში აღნიშნულ ვალდებულებაზე დამოკიდებულია რეინის ოლქის ჩრდილოეთ ზონის ევაკუაცია.

## მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.

22 აგვისტოს მარსელში გაიხსნება მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.

## ამერიკა აძლიერებს თავის ძალებს ჩინეთში.

ამერიკის გემი „იაზონი“ გავიდა ფილიპიიდან შანხაისაკენ. გემით გაემგზავრა 300 ქვეითი მეზღვაური.

## ხმები მემარცხენე ბლოკის დაშლის შესახებ.

საფრანგეთის პარლამენტის წრეებში დადის ხმები მემარცხენე ბლოკის დაშლის შესახებ.

სოციალისტების ლიდერებმა კრებაზე სასტიკად გააკრიტიკეს კაიოს საფინანსო პროექტი.

პარლამენტის წრეებში ლაპარაკობენ, რომ მოსალოდნელია პენლევეს კაბინეტის დაცემა და მისი შეცვლა ერიო—ბლიუმის მთავრობით.

ფინანსიური წრეები მოითხოვენ მხარი დაუჭირონ კაიოს, ვინაიდან, მათი შეხედულებით, კაიოს წასვლით გაიზრდება სტერლინგის კურსით. ჯერ კიდევ ამ თავითვე შემჩნეულია ფრანკის კურსის დაცემა.

## სათავეში-საბჭოთა კავშირის აქტიური მტერია.

საფრანგეთის პრესაში მოთავსებულია ცნობები, რომ ჟენევაში ეხლახან მოხდა „კომინტერნის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ლიგის“ საბჭოს დიდმნიშვნელოვანი თათბირი.

გადმოგვცემენ, რომ თათბირზე მონაწილეობას იღებდა 30 სახელმწიფოს წარმომადგენელი და რომ საბჭოს მიერ იქნა მიღებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

ამ ლიგის თავმჯდომარეა ვექილი ტეოდორ ობერი-ვოროვსკის მკვლელის დამცველი.

## აღარ მიიღეს „სპეცის დახმარება“.

ებრაელთა საქმეების სპეციალისტი ვოლფი რომელიც იმყოფება ერთა ლიგასთან და ამჟამად არის ვარშავში ამ დღეებში ინახულა ებრაელთა დეპუტატმა ტონმა.

ტონმა განუცხადა მას, რომ ებრაელებს არ ესაჭიროებათ ვოლფის შუამავლობა პოლონეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში.

# საბჭოთა კავშირში

## პოლონეთის ჯაშუშთა ორგანიზაციის საქმე.

დამცველები სცდილობენ შეამსუბუქონ წინა და სტანისლავა კრჟეჩკოვსკაიას დანაშაული და ამბობენ, რომ მათ არაფერი სცოდნიათ შპიონაჟის შესახებ და არ შეიძლება მსჯავრი დაედოთ მათ ჯაშუშების მფარველობაშიო.

## საჰაერო შეჯიბრება.

სრულიად საკავშირო საჰაერო შეჯიბრება დანიშნულია ყირიმში 5 სექტემბრისთვის ფეოდოსიის ახლოს.

საბჭოთა მფრინავები მიწვეული არიან შემოდგომაზე საერთაშორისო საჰაერო შეჯიბრებაში, რომელსაც აწყობს გერმანელი მფრინავები.

## საბჭოთა დირიჟაბლი.

აგებულ იქნა მსუბუქი სისტემის პირველი დირიჟაბლი—„წითელი ქიმიკოსი-რეზინშჩიკი—ილიჩს“.

მოხდა დირიჟაბლის პირველი გაფრენა, შემდეგისთვის ის იქნება საჰაერო სამოსწავლო ხომალდი.

## მეთუთუნეობა აფხაზეთში.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ აფხაზეთის მეთუთუნეობისათვის გადასდო ორ მილიონიანი კრედიტი.

## საბჭოთა პავილიონის გახსნა პარიზის გამოფენაზე.

პარიზში, დეკორაციულ ხელოვნების გამოფენაზე გაიხსნა საბჭოთა კავშირის პავილიონი.

გახსნის დღეს სიტყვები წარმოსთქვა კრასინმა, კოგანმა, დემონზიმ და ფილიპპოტომ.

პავილიონში შესვლისას იქ შეგროვილი ხალხი მიეგება მას ტაშის ცემითა და ხმებით: „გაუმარჯოს საბჭოებს“.

პავილიონის მოწყობა, სილამაზე და მდიდარი ექსპონატები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

## ჩვენი ასანთი სპარსეთში.

ჩრდილოეთ-დასავლეთის ასანთის ტრესტი ამ ბოლო დროს დიდძალ ასანთს ასაღებს სპარსეთში. სპარსეთის ბაზრისათვის დამზადილ ასანთებს სპარსული წარწერები აქვს.

## აეროლიტის ჩამოვარდნა.

ლისვიდან მოშორებით 9 ვერსზე (პერმის გუბერნიაში) ჩამოვარდა აეროლიტი: (აეროლიტი წარმოადგენს, მაგარ, სხვადასხვა ნივთიერებისაგან ნარევ სხეულს, რომელიც დაჰქრის პლანეტებს შორის, ხოლო როცა ის მოხვდება დედამიწის მიზიდულობის არეში, ჩამოვარდება დედამიწაზე). აეროლიტის ჩამოვარდნის დროს ხმაურობა ისმოდა ირგვლივ 100 ვერსის სირვცეზე.

## კალია დონის-როსტოვში.

მაიკოპის მახლობლად კალიამ დაჰფარა 1.000 დესეტინა ნათესი. მიღებულია კალიის საწინააღმდეგო ზომები.

## წითელ-არმიელებთან დაახლოების დღესასწაული.

გორში გაიმართა საბანაკოდ ჩამოსულ სამხედრო ნაწილების სამოქალაქო ორგანიზაციებთან დაახლოების დღესასწაული. ჩატარებულ იქნა შეერთებული მიტინგი, რომლის დასასრულ გაიმართა სეირნობა მუსიკითა და კინოთი.

## მტკვარისა და ლიახვის ნაპირების გამაგრება.

სწარმოებს მუშაობა მდინარე მტკვარისა და მისი შესართავის—ლიახვის ნაპირების გასამაგრებლად.

ლიახვის ნაპირებზე სოფელ ძეხვთან აგებულია დამბა 300 კვადრატ საჟენზე.

ამზადებენ აგრეთვე ქვებს ნაღმების საშუალებით.

# სამხედრო საქმე.

## საზაფხულო სწავლებისათვის.

### II. ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.

ომის დროს ჯარებს ხშირად მოუხდება ლაშქრული მოძრაობა, რომლის დროსაც იგზავნება წინ, განზე და ზურგში დამცველი რაზმები. ეს საჭიროა იმისთვის, რათა ჯარმა უზრუნველყოს თავი მოულოდნელ, (შემთხვევითი) თავდასხმისაგან.

ყოველი, ლაშქრული წესით გადასვლა სწარმოებს განსაზღვრული მიზნით: ან მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ნაწილებზე დასახმარებლად, ან და მეორე უბნის დასაკავებლად, რომ შემდეგ დაწყებულ იქნას შეტევა. ამიტომ ლაშქრული მოძრაობის დროს თავდაცვისთვის არ უნდა დაიხარჯოს დიდი ძალა და არ უნდა დაიღალონ მეომრები იმდენად, რათა შემდეგ არ გაუჭირდეთ საბრძოლო ამოცანის ასრულება.

ჩვეულებრივად ლაშქრული წესით მოძრაობის დროს თავდაცვის მიზნით გამოიყოფა არა უმეტეს წინ მოძრავი ნაწილის ერთი მესამედისა. ეს ერთი მესამედი ნაწილი (ლეგიონიდან მაგ. გამოიყოფა ათასეული) გაძლიერებული ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით იგზავნება მტრისკენ.

წინ და განზე ეს ათასეული გზავნის თავის მხრივ მცველ ოცეულებს, რომლებიც მოძრაობენ მთავარ, ანუ გამგზავნელ ნაწილიდან 1-2 კილომეტრის მანძილზე.

მცველი ოცეულები თავის მხრივ აგზავნიან მტრისაკენ და ფრთებზე მცველ ჯგუფებს, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია იმ გარემოებისა და ადგილ-მდებარეობისაგან, რა მიმართულებითაც მოძრაობენ მცველი ოცეულები. მცველ ოცეულების ამოცანაა დაჰფარონ თავის ჯარების მოძრაობის ზოლი და არ მისცეს ზვერვის საშუალება მტრის მზვერავებს. მცველ ათეულის ამოცანა იგივეა და ამის გარდა მან უნდა აცნობოს მის გამგზავნ ოცეულს მტრის გამოჩენის შესახებ და დაიცვას მოულოდნელ ტყვიამფრქვევისა და თოფის შორი ცეცხლისაგან, ამიტომ ის უნდა მოძრაობდეს თავის ოცეულიდან 800 მეტრის მანძილზე.

რომ მეომრებმა შეისწავლონ თავიანთი ვალდებულება ლაშქრული წესით მოძრაობისთვის, საჭიროა მიეცეს ლაშქრული წესით მიმავალ ჯარის ნაწილებს ჯერ საერთო ამოცანა, შემდეგ უნდა გამოიყოს დამცველი რაზმი და უნდა გაიგზავნოს ისე, როგორც ეს მოუხდებათ ნამდვილ საბრძოლო გარემოებაში. მოძრაობის დროს უნდა განემარტოს მეომრებს ყველა ის მოვალეობანი, რომლებიც უნდა აასრულოს მცველ რაზმებმა.

მცველ რაზმში გაგზავნილი მეომრები ათეულის შემადგენლობაში ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად გამოჰყოფენ წყვილ მძიებელს, რომლებიც მოძრაობენ ისე, რომ შეეძლოთ ადგილ-მდებარეობის კარგად დათვალიერება და მუდამ ექიროთ მხედველობითი კავშირი ერთმანეთს შორის.

წყვილი მძიებელი შორდება გამგზავნ ათეულს 200-300 მეტრის მანძილზე.

ი. ბარ.

## „მზადება მოსავლის განაღდებისათვის“.

„პრავდას“ წერილი.

„როგორც სჩანს მიმდინარე წელში პურის მოსავალი გასულ წელთან შედარებით გაცილებით უკეთესი იქნება.

გასულ წელთან შედარებით სათესი მოედანიც გადიდებულია. დაახლოებით მოსალოდნელია 300 მილიონი ფუთი მეტი მოსავალი. თუ ეს გამართლებულ იქნა, იმ შემთხვევაში არა მარტო შინა ბაზარი იქნება უზრუნველყოფილი პურით, არამედ შესაძლებლობა გვექნება გავიტანოთ ის საზღვარ გარედაც. ხოლო ამას კი მოჰყვება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება, კრედიტის გაფართოება, საქონლის შემოტანის გაძლიერება, რაიც ესაჭიროება ჩვენს მეურნეობას ჩქარი ტემპით განვითარებისათვის.

უახლოესი სამეურნეო ამოცანა-ეს არის ახალი მოსავლის განაღდებისათვის მზადება. გლეხობა დიდძალ პურს გამოიტანს ბაზარზე.

აქ დიდი როლი უნდა ითამაშოს კოოპერატივებმა.

მიმდინარე წელში უფრო მძიმე ამოცანა ეს-იქნება მოთხოვნილების სათანადოდ დაკმაყოფილება მრეწველობის საგნებზე, რასაც უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

ეს ამოცანა გამოიხატება იმაში, რომ თავის დროზე უნდა იქნას დაკმაყოფილებული ბაზრის მოთხოვნილება. ამისათვის კი საჭიროა ტრანსპორტის მომზადება საშემოდგომო კამპანიისათვის.

მოსავლის კარგად განაღდება უფრო მეტად გაამტკიცებს მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და გააძლიერებს გლეხობის ნდობას მეურნეობის სახელმწიფო ორგანიზაციებისა და პროლეტარიატის სოციალისტურ ხელმძღვანელობისადმი“.

# პარტიული ცხოვრება.

მეხუთე ლეგიონი.

28 მაისს მეხუთე ლეგიონის ლ კლუბში შესდგა პირვე- კომუჯრედის კრება, რო- ლსაც დაესწრენ უპარტიო თელ-არმიელებიც.

კრების დღის წესრიგში და- ლი იყო საკითხები: მე-14 პა- კონფერენციისა და პარტ- ვალებების შესახებ. პარტ- ნფერენციის დადგენილებე- ს ჩნიშვნელობის შესახებ ცელი მოხსენება გააკეთეს . ამხ. დევაძემ და კალან- ძემ.

ამხანაგებმა ყველა რეზო- ლუციები გაარჩიეს და შე- ენ თუ რა სარგებლობას უტანს როგორც პარტიას ლიანად, ისე მშრომელ ხა- ს მათი ცხოვრებაში სის- რით გატარება.

მოხსენებამ შეკითხვებიც მრავალი გამოიწვია. ყველას აინტერესებდა გაუგებარი არა- ფერი დარჩენოდათ რეზოლიუ- ციებში. შემდეგი მოხსენებით პარტდავალებების გარშემო გა- მოვიდა ამხ. ჩიჩუა. მან აუწყა კრებას, რომ მისადმი მიცემუ- ლი დავალება—სუსტი ამხანა- გების პოლიტიკურად მომზა- დება—მის მიერ პირნათლად იქნა შესრულებული და მოს- თხოვა კრებას დანიშნონ გა- მოცდები, რაც კრებამ დაა- კმაყოფილა.

მიმდინარე საკითხებში სე- რიოზული ხასიათის არაფერი წამოჭრილა და კრებაც დაი- ხურა.

სამხკორი ტრაქტორი.

## ჩვენი სკოლა.

6-ე ლეგიონი.

1902 წ. დაბადებულთა გა- ევიდან შევსებული იქნა ლე- ონის უმცროს მეთაურთა ოლა. მართალია ამ შევსებამ დი თვისებრივი სხვაობა გა- იწვია კურსანტებს შორის, გრამ ცოტად თუ ბევრად წე- -კითხვა მაინც ყველამ იცის მუყაითი მეცადინეობით, ედი გვაქვს ჩქარა შეივსება ნიშნული დანაკლისი.

უფრო კარგათ და მოხერ- ხებულად რომ მოწყობილიყო, ოლა მოთავსებული იქნა ლკე შენობაში და ლეგიო- ს დაშორებით. ოთახების იცხვი საკმაოა, მაგრამ შე- ობას არა აქვს ეზო, ფანჯრე- ჩამტვრეულია და სხვა ტეხ- კური ნაკლულევანებანიც ავალია. ამას საჭირო ყურა- ღება უნდა მიექცეს ვისგანაც ერ არს, თორემ კულტუ- ულ-პოლიტიკური და სხვა სიათის საქმიანობა ჩვენთან რგა ხანს ვერ დადგება ისეთ მაღლეზე, როგორც საჭიროა. ამ ჟამად მუშაობა მაინც არ წყვეტილა. მართალია ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლამ დაგვაყენა დაბრკოლებების წი- ნაშე, მაგრამ ჩვეულებრივი მუ- შაობა და საქმიანობა მაინც მიმდინარეობს.

სამხედრო საქმის შესწავლის მიზნით მუშავდება კვირეული სამოქმედო გეგმა.

პოლიტმეცადინეობისათვის კურსანტების მთელი შემადგენ- ლობა სამ კატეგორიათ იქნა გაყოფილი ცოდნის და მიხე- დვით. კურსანტები დიდი ხალი- სით ეკიდებიან მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას ღებუ- ლობენ ლექტორებისადმი მი- ცემულ შეკითხვებით.

სკოლაში მოხდა პარტიუ- ლების აღრიცხვა, რის შემდეგ შესდგა კომუჯრედი და ახკომ- კავშირელთა უჯრედიც.

ვიმედოვნებთ მეტი ყურა- დღება მიექცევა სკოლაში ტე- ხნიკური საკითხების მოგვარე- ბას, რაც ხელს შეუწყობს სხვა და სხვა დარგებში მუშაობის გამოცოცხლებას.

ვ. ლორთქიფანიძე.

## მოგვეცით საათი!

1-ლ საარტილერიო ლეგიონის საყარაულოს არა აქვს ათი, რის გმოც ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ვართ. ც საყარაულოს ახლო-მახლო და არც თვით წითელ არ- ელებს საათი არ მოგვეპოვება, და ერთი მეორეს ვცვლით ნ ადრე და ხან გვიან.

ზოგი წითელი არმიელი ამ მიზეზით იმდენ ხანს რჩება გუშაგოზე, რომ ძილი მოეკიდება და ამისათვის ხშირად ვენი უფროსებისაგან ვღებულობთ რიგ გარეშე სამსახურს.

ბევრჯერ მივმართედ ჩვენი ნაწილის უფროსებს და ეს კითხი კიდევ არ არის მოგვარებული დღემდე.

საყარაულოში უსაათოდ მორიგეობა პირდაპირ შეუძ- ლებელია.

საჭიროა დროზე მიაქციონ ამ მდგომარეობას სათანადო ურადღება, ვისაც ეს ეხება და მოგვცენ ერთი საათი.

სამხკორი: ძირულელი.

## რა უნდა იცოდეს თითეულმა წი-თელ-არმიელმა.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

საბანაკო პერიოდი თითქმის ბევრით არ განსხვავდება სა- მარი მდგომარეობიდან. აქედან თითეულ წითელ-არმიელს ცხადია დიდი მოვალეობა აწევს თავზე. სამხედრო წესდების თითეული მუხლი ბანაკში სისწორით უნდა სრულდებოდეს სამხედრო პირის მიერ.

აღვნიშნავ აქ იმ ორ ნაკლს, რომლებსაც ადგილ აქვთ ჩვენი საბანაკო ცხოვრების სინამდვილეში.

ხშირია შემთხვევა, რომ წითელ-არმიელი ან მეთაური ქუდ მოხდილი და უწესოთ დაიარება. წესდება კი ასეთ უყუ- რადღებობას გვიკრძალავს, რადგან ირღვევა სამხედრო დის- ციპლინა.

მეორე: ხშირად, ღამით წითელ-არმიელებს ეზარებათ ფე- ხის ადგილებში წასვლა და ბანაკში ამის გამო სიბინძურის სუნი სდგება, რაც ყოვლად დაუშვებელია, როგორც ჰიგიე- ნურად ისე სხვა მხრივადაც.

ორივე ამ მოვლენას საჭიროა მიექცეს სათანადო ყურა- დღება ჩვენი მეთაურებისა და მედპერსონალის მიერ. ამხანაგ წითელ-არმიელებს კი უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ სამხე- დრო დისციპლინისა და ჰიგიენის დაცვა გაგხდის ჩვენ მშ- რომელთა ხელისუფლების დამცველ სამაგალითო მხედრებად.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## საჭიროა დისციპლინა.

(1-ლი ლეგიონი).

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდში იმყოფება ასამდე წითე- ლი არმიელი, რომელთაგან თითქმის ნახევარი სულ მოხელე- ები არიან: მეჩექმეები, მკერავები და სხვა.

ამ გუნდში უფროსებს არა აქვს დაყენებული დისციპლინა თავის დონეზედ. წითელ-ჯარში მყოფ წ. არმიელებს არა აქვს ნება, რომ ატარონ სამოქალაქო ტანისამოსი.

სამნეო გუნდში კი არ არის დაცული ეს, რაც წ. არმი- ელებში იწვევს უკმაყოფილებას. აი მაგალითი: 30 აპრილს ერთი წ. მოლაშქრე გამოეწყო თავის საკუთარ ტანისამოსში და მიდის სასეირნოდ. ამ დროს ხვდება მას ამხანაგი და ეუბ- ნება; შენ გაქვს ამ ტანისამოსის ჩაცმის ნება თუ არაო. მან უპასუხა; მე მაქვს შეძლება რომ შევიძინო სხვა ტანისამოსი, თავისუფალ დროზე ჩავიცვა და ვისეირნოო, და შენც შეგი- ძლია ასე მოიქცეო.

გუნდის უფროსებმა უნდა მიაქციონ ამ გარემოებას სა- თანადო ყურადღება და უნდა აუკრძალონ წ. არმიელებს არა სამხედრო ტანისამოსით სეირნობა.

წ. არმიელი „კლიმერი“.

## მეთაურთა მომზადება.

4-ხე ლეგიონი.

მეოთხე ლეგიონში 11 მაისიდან ლეგიონის უფ- პოლიტ შემადგენლობასთან სწარმოებს ცვალებად შემად- გენლობასთან შესახვედრი მეცადინეობა, რომელსაც ხელმძღ- ვანელობს ლეგთავი და სამხკომი.

სკოლის გარეშე და საკლუბო მუშაობაში მეცადინეობა ჩაატარეს ამხ. მერაბიშვილმა და ამხ. მურადოვამ, სადაც დი- დი ყურადღება ექცეოდა კომპლექსიურ მეთოდს. მეცადინეო- ბას დაესწრენ თვით დივიზიის უფროსი და სამხკომი. ამ მომ- ზადებას უნდა აღვნიშნო, რომ მრავალი დადებითი მხარეები აქვს: ერთი რომ ლეგიონის წერტებზე გაფანტულ უფ-პო- ლიტ-შემადგენლობას პირველად უხდება ლეგიონის დაარსე- ბიდან ერთად თავის შეყრა. მეორეც ისა, რომ მეთაურებს სა- შუალება მიეცათ გაემეორებინათ გავლილი.

მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურათ. მაგრამ ამავე დროს არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ნაკლი, რომელიც თან დაყვა ამ სასარგებლო საქმეს: მეთაურებს მოუმზადებლად მოუხდათ შეხვედრა, რადგანაც ბრძანება მოულოდნელი იყო. მეთაურებმა არ იცოდნენ თუ რამდენ ხანს დარჩებოდენ. მე- ორეც ის, რომ მოუხდათ დიდი ხარჯების გაწევა მთელი თვის განმავლობაში—ბინის და სასმელ-საჭმლის მხრივ. სასურველი იყო ლეგიონს წინასწარ მოეწყო მათთვის იაფფასიანი სასადილო და საწოლი ბინა. მეცადინეობა გრძელდება 10 ივნისამდე.

მეთაური ს. ნიშნიანიძე.

## გაკეთებულს მოვლა უნდა.

1-ლ ლეგიონის სამნეო ნაწილისა და სამნეო გუნდის უფროსების ინიციატივით გაზაფხულის პირზე შტაბის შენო- ბის, სამნეო გუნდის შენობისა და საბანაკო ადგილის გარ- შემო დარგულ იქნა სხვა და სხვა ჯიშის ხეები, რისთვისაც დაიხარჯა საკმაო ენერგია. მაგრამ ხეების მარტო დარგვა ხომ არ კმაროდა! მათ ესაჭიროებათ მოვლა, როგორც არის წყლის დასხმა და სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გახარება შეუ- ძლებელი იქნებოდა ასეთ გვალვებში. შტაბის ირგვლივ დარ- გული ხეებში თითქმის არც ერთს არ გაუხარნია უყურად- ღებობისა და მოუვლელობის გამო.

ბანაკის ადგილზე რამოდენიმე ხემ გაიხარა, მხოლოთ, რომლებსაც აქცევდნენ ყურადღებას და წყალს უსხამდენ.

სამნეო გუნდის შენობასთან დარგულ ხეებიდანაც ყვე- ლამ გაიხარა, რადგან მათ ყურადღება ექცეოდა წ. არმიე- ლებისა და ასეულის თავის მხრივ.

საჭიროა ჩვენმა მეთაურებმა და წითელ-არმიელებმა მია- ქციონ უფრო მეტი ყურადღება იმ ხეებს მაინც, რომლებ- მაც გაიხარეს, მოუარონ კარგათ, თორემ ასეთი მოვლით ისენიც აუცილებლათ გახმებიან.

სამხკორი: მეჯუდა.

## სალამი ახალ მუშაკებს.

საქ. კომპარტიის ცეკასთან არსებულ ცენტრ. პარტსკო- ლის კურსანტების პირველი გამოშვების გამო.

ა. წ. 6 ივნისს ცენტრალური პარტიული სკოლა პირ- ველად უშვებს საკმაოდ მომზადებულ და ბრძოლისთვის გა- მობრძმედილს კურსანტების პირველ კადრს. ახალი ძალები ახალი ენერგიით და სათანადო ცოდნით აღჭურვილნი გაეშუ- რებიან ჩვენი ქვეყნის მაზრების იმ ორგანიზაციებში სამუშა- ოთ, რომლებმაც გადმოგზავნეს ისინი კომუნისტური აღზრდის მისაღებათ.

იმედია ცენტრპარტსკოლა დამთავრებული კურსანტები გაამართლებენ იმ იმედებს, რომლებსაც ამყარებს მათზე კო- მუნისტური პარტია. ისინი აქტიურად უნდა ჩაებან სოფლად ყოველგვარ მუშაობაში. გვჯერა ეს ამხანაგები საუკეთესო გა- მტარებელი იქნებიან იმ უდიდესი მუშაობის, რომელიც უნდა აწარმოოს კომუნისტურ პარტიამ გლეხობაში.

ჩვენი მხედრული სალამი ახალი საქმის მესაჭე ახალ მუ- შაკებს. გაუმარჯოს მათ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის ჩამორ- ჩენილი კუთხეების გამოფხიზლების საქმეში.

ა. თოხაძე.

## მოგვეცით სანიტ-საათები!

პირველი ლეგიონის სკოლაში საუბრები სანიტ-საათებზე ნორმალურად მიმდინარეობდა, კვირაში ორჯერ, რასაც სკო- ლის მსმენელები დიდის ხალისით ესწრებოდენ.

ამ თემებზე საუბრების გატარების დროს მსმენელები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას მის გატარებაში, აძ- ლევდენ მრავალ შეკითხვებს მომხსენებელს და სხ.

მსმენელების სურვილი იყო, რომ კვირაში ორ სანიტ- საათს კიდევ მომატებოდა რამოდენიმე საათი.

მაგრამ საუბედუროთ, სანიტ-საათები არამც თუ მოგვე- მატა, არამედ სრულიად მოგვესპო. აგერ ორი თვე სრულდე- ბა, რაც ჩვენს სკოლას არ ჰქონია სანიტ-საათები, რაც აუ- ცილებლად დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

საჭიროა კვლავ განაახლონ ჩვენთან სანიტ-საათების სა- უბრები.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ექსკურსია წყალტუბოში.

10 მაისს დილის სრულ ათ საათზე მესამე ლეგიონი რუსის მესამე ლეგიონთან ერთად გაემგზავრა სოფელ წყალ- ტუბოში. ლაშქრობის მიზანი იყო, დაგვეთვალიერებია ზემო- ხსენებული სოფელი, მისი აბანოები, ბაღები და სხვა.

ჩვენთან ერთად მოდიოდა ჩვენი ნაწილის სპორტ-წრის წევრები, რომლებსაც შეჯიბრება უნდა მოეწყოთ რუსის ნა- წილების სპორტ-წრესთან. შეჯიბრება ვერ მოეწყო სხვა და სხვა მიზეზების გამო.

წითელ არმიელებს ძლიერ ეინტერესებოდათ წყალტუ- ბოს ნახვა და გზაზე მათ დაღალვაც კი არ უგვრძნიათ; მი- დიოდენ სიცილ-თამაშით, სიმღერით და სხ.

სრულ 11 საათზე ჩავედით წყალტუბოში.

ჩასვლისთანავე დავათვალიერეთ აბანოები, ბაღები, სხვა და სხვა მოწყობილებები და სხ., რამაც კარგი შთაბეჭდილე- ბა დასტოვა წითელ არმიელებზე.

ამის შემდეგ უფასოთ დაგვითმეს აბანოები, ვიბანავეთ ორივე ლეგიონის მთელმა შემადგენლობამ და ცეკვა-თამაშით და სიმღერით დავბრუნდით უკან.

დიდი მადლობის ღირსია აბანოების გამგეები, რომლე- ბმაც დაგვითმეს აბანოები უფასოთ.

სასურველია ხშირად მოეწყობოდეს ასეთი ექსკურ- სიები.

გ—ტი.

## ამბები სოფლებიდან.

**სამკურნალო აბანოებზე.** შორაპნის გლეხკომებმა გადას- წყვიტეს გლეხკომების სამკურ- ნალო აბანოებზე ღარიბ გლე- ხებს უფასოთ მისცენ მკურნა- ლობის უფლება.

**გობირდის აბანო ლეჩხუმ- ში.** ლეჩხუმის სამაზრო გლეხ- კომის განკარგულებით შეუდ- გენ, სოფ. ალპანის ახლო გო- ბირდის აბანოს კეთილ მოწ- ყობას.

## აბა გამოიცანი?

### ამოცანა № 34.

იყო ორი მწყემსი. ყავდათ ცხვრები. თუ პირველი მისცემდა მეორეს ერთ ცხვარს, მეორე მწყემსს ორჯერ მეტი ცხვრები ეყოლებოდა პირველზე, ხოლო თუ მეორე გადასცემდა პირველს ერთს—მაშინ ცხვრები ორივე მწყემსებს თანაბრად ეყოლებოდათ. რამდენ—რამდენი ცხვარი ყოლია თითეულ მათგანს?

## ვინ იქნება შემდეგი.

თანახმად ამხ. ბერიძის გამოწვევისა ვიწერ გაზეთ „წ.-არმიელს“ სოფ. საჰილაოს (სენაკის მაზრა) წიგნთსაცავ სამკითხველოსათვის და ჩემის მხრივ ვიწვევ ქ. დუშეთიდან შემდეგ ამხანაგებს:

სამაზრო პარტ-კომიდან: 1. პარტ-კომის მდივანს ამხ. აზრუმელაშვილს, საორგანიზაციო ნაწილის გამგეს ამხ. ტრ. სალარაძეს, საიგიტპროპო განყოფილების გამგეს ამხ. როყუას, ქალთა განყოფილების გამგეს ამხ. შუშიაშვილს.

**მაზრის სამხედრო კომისარიატიდან:** მაზრის სამხკომს ამხ. ხუროძეს, მის თანაშემწეს ამხ. ქარციველს და სამობილიზაციო ნაწილის უფროსს ამხ. ნიკოლაევს. იმედია აღნიშნული ამხანაგები გამოეხმაურებიან ჩემს გამოწვევას და გამოუწერენ თავიანთ სოფლების სამკითხველოებს გაზეთ „წ.-არმიელს“.

**ნ. ასათიანი.**

## ახალი ამბები.

— **ბაღი ნაძალადევში.** უკვე დასრულდა მუშაობა ბაღის გაშენება ლოტკინის რაიონში (ნაძალადევი).

— **წითელი არმიისა და ფლოტის სახლთან** ეწყობა სკოლის გარეშე მუშაკების მოსამზადებელი კურსებისათვის ბინები და სამეცადინო ოთახები.

— **საფეიქრო სასწავლებელი.** განათლ. კომისარიატის სამეცნ.-ტეხნიკური სექციის დადგენილებით მომავალი სამოსწავლო წლიდან გახსნილ იქნება საფეიქრო სკოლები და კურსები. საფეიქრო კურსები მოამზადებენ ინსტრუქტორებს შინა მრეწველობის დარგში.

— **საალმშენებლო ტეხნიკუმი.** მომავალ სამოსწავლო წლიდან განათლების კომისარიატის დადგენილებით, გახსნილ იქნება ერთი საალმშენებლო ტეხნიკუმი.

— **მუშათა ჯანმრთელობისათვის.** შრომის სახ. კომისარიატმა მიიღო უკრაინიდან წარმოებებში მავნე გაზების გამომრკვევი იარაღები.

— **მეაბრეშუმეობისათვის.** ტფილისის სააბრეშუმო სადგურმა მიიღო იტალიიდან აბრეშუმის პარკის გადასამუშავებელი მანქანები.

— **ორშაბათების გაუქმება.** საქ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით დასასვენებელ დღეებათ გამოცხადებული ორშაბათები გაუქმებულია.

— **საზღვარ გარედ გამგზავრების შესახებ.** ჯანსახკომმა გამოიმუშავა ექიმებისათვის საზღვარ გარედ გამგზავრების წესი.

— **მევენახეობა-მეღვინეობის სკოლები.** განათლების კომისარიატმა დაადგინა გახსნას მევენახეობა-მეღვინეობის ორი სკოლა ერთი აღმოსავლეთ საქართველოში და მეორე დასავლეთ საქართველოში.

— **ზაჰესის სადგური.** ამჟამად სწარმოებს გაცხარებული მუშაობა ზაჰესის სადგურის შენობის ასაშენებლათ.

— **ტრამვაის საჭიროებისათვის.** ტფილისის ტრამვაის დირექციამ შეიძინა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით ათი ათასი მანეთის ელექტრო მოწყობილობანი.

## სამხედრო ტრიბუნალი.

4 ივნისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა 1-ლ ლეგიონის წ. მ. აპოლონ ლომსაძის საქმე, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში. წ. არ. ლომსაძე იყო გამოწვეული ა. წ. ივნისის თვეში და მსახურებდა რა 1-ლ ქართულ ლეგიონში ავადმყოფობის გამო მიულია ორი თვის შვებულება წ. წ. 10 ოქტომბრიდან ი. წ. 10 დეკემბრამდე, რომლის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ნაწილში. ბრალდებული გამოცხადდა შორაპნის მაზრის კომისარიატში ა. წ. 10 აპრილს, რომელ რიცხვსაც იქმნა დაპატიმრებული და მიცემული პასუხისგებაში.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით (6) ექვსი თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია 5 მანეთის ღირებულობით, მაგრამ თანახმად ცაკის ამნისტიისა ა. წ. 16 მარტიდან № 13 სასჯელი თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა ნახევრად, აგრეთვე სასამართლომ მიიღო მხედველობაში ბრალდებულის ოჯახური უმწეო მდგომარეობა და თანახმად ს. ს. კ. 28 მ. კონფისკაცია 5 მან. ღირებულებით სავსებით მოეხსნა.

**გნია.**

## პასუხი შეკითხვებზე

**კითხვა.** ვმსახურებდი რკინის გზაში 1917 წლიდან 1920 წლამდე, აქედან დაწყებული ვიდრე 1924 წელში წითელ ჯარში გამიწვიეს, ვმსახურებდი ავტო-გარაჟში. გთხოვთ მიპასუხოთ როგორ მოვიქცე სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ?

**წ. არმ. ხელაია.**

**პასუხი.** აღნიშნული ადგილი თქვენ არ გენახებათ, მაგრამ სამხედრო ბეგარის მოხდისას თქვენ ამ უწყებებში მიღების დროს უპირატესობა გექნებათ ვიდრე სხვა კერძო პირებს.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ტრაქტორი გოლიათი.**

კალიფორნიის (ამერიკა) ტყიან რაიონში—ხე-ტყის დასამუშავებლად ამ უკანასკნელ ხანებში ხმარებაში შამოვიდა უზარმაზარი ტრაქტორი—გოლიათი. ტრაქტორით უმთავრესად გადააქვთ ხის გორები ერთი ადგილიდან მეორეზე. ტრაქტორის შამოღებამდე ხეტყე გადაჰქონდათ ცხენების საშვალებით.

ეს უზარმაზარი ტრაქტორი-გოლიათები დამზადებული იქნა ფორდის ამერიკულ ტრაქტორის ქარხანაში. თავისი მოცულობით ის უდიდესია აქამდე დამზადებულ ტრაქტორების შორის.

ტრაქტორს ქვედა ნაწილში მოთავსებული აქვს დამორილი ხეების ჩამოსაკიდებელი განყოფილება. თვითონ ტრაქტორი იმდენად დიდია, რომ მის ქვეშ თავისუფლად შეუძლია გაიაროს ჩვეულებრივ სამგზავრო ავტომობილმა.

**კიბოს საწინააღმდეგო ახალი საშვალება.**

ვენის (ავსტრიის დედა ქალაქია) პროფესორ ზილბერშტეინმა მოახდინა კიბოს წინააღმდეგ აქიმობის დროს მეტად საყურადღებო ცდები. ის ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ მოქმედებდა ინსულინით (წამალია).

ინსულინი აღმოჩენილი იქნა ამერიკელი ექიმების მიერ და ხმარობდენ მას შაქრის ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ზილბერშტეინმა კი ეს პრეპარატი კიბოს წინააღმდეგაც გამოიყენა- ინსულინი დამზადებული იქნა ხარის კუჭქვეშა ჯირკვალიდან გამოღებული სითხისაგან.

ზილბერშტეინმა ხელოვნურად გამოიწვია თაგვებში კიბოს ავადმყოფობა და შემდეგ დაიწყო მათი აქიმობა ინსულინით. ცდები უნდა ითქვას, რომ გამარჯვებით დათავდა. დაავადმყოფებულ თაგვების 50 პრ. პროფესორმა სრულიად განკურნა კიბოს ავადმყოფობიდან.

**მიმღებ რადიო სადგურების რაოდენობა მოსკოვში.**

მოსკოვისა და მისი რაიონების რადიო ბიუროს და მის ფილიალურ განყოფილებებს სულ გაუციათ ჯერ-ჯერობით 15.000 ნებართვა რადიო მიმღებ სადგურების მოსაწყობათ. ამ ჟამად დღიურად ხდება 30-40 ნებართვის გაცემა. ერთი თვის უკან კი დღიურად ბიუროდან გადიოდა 250 ნებართვა.

ნებართვათა აღრიცხვის ა... თი შემცირება მით აიხსნებ... რომ გავრცელდა ხმები სად... გურების დასადგმელი ხელფ... სის შემცირების შესახებ. ჯერ-ჯერობით ხელფასი იგივეა.

სადგურის დადგმა ღირს ... ჟამად 3 მანეთი.

## რევოლიუციონური კანონიერების დაცვა-განმტკიცება ყველა სამხედრო პირის საქმეა.

წითელი ჯარის შექმნა-განმტკიცება რა თქმა უნდა თავისებურ პირობებში ხდება.

ჩვენი ლაშქარი კლასიური ლაშქარია, მისი შემადგენლობა მუშურ-გლეხურია, მისი მიზანი მშრომელი ხალხის ინტერესების და რევოლიუციონური მონაპოვრის დაცვა-განმტკიცებაა.— რომ წითელი ლაშქარის რიგები ძლიერი იყოს ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მისი ხელმძღვანელები იდგნენ თავის სიმაღლეზედ. ჩვენი წითელი ლაშქრის მეთაური უპირველესათ ყოვლისა უფროსი ამხანაგია და მასწავლებელი წ. მოლაშქრისა. ის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს თავისი ხელქვეითისათვის, თუ როგორი უნდა იყოს რევოლიუციის სადარაჯოზედ მდგომი წითელი მხედარი--ის ცოდნით, გამოცდილებით, ზნეობრივი მხარეებით და სამსახურის ერთგულებით ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველ მის მოქმედებაში წ. მოლაშქრემ უნდა დაინახოს წასაბაძი მაგალითი—თუ ეს ასე არ არის ის მეთაურად, წითელი ლაშქრის ხელმძღვანელად არ გამოდგება და აუცილებლათ განდევნილი უნდა იქნეს წითელი ლაშქრის რიგებიდან. რასაკვირველია ჩვენ მეთაურთა შემადგენლობას ეს ღრმად აქვს შეგნებული და ღირსეულადაც ასრულებს მასზედ, მშრომელი ხალხის მიერ დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ სიმახინჯის სავსებით მოსპობა ჯერ ჩვენ ვერ შევძელით და ამ სიმახინჯის მაგალითებს ნაწილობრივ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ჯარში—მე მინდა ორ საზიზღარ მოვლენაზე მივაქციო მკითხველის ყურადღება: სიმთვრალე და მექრთამეობა. აბა რა ხელმძღვანელი და მასწავლებელი უნდა იყოს ისეთი მეთაური, რომელიც სისტემატიურად ლოთობს და ამასთან დაკავშირებით მრავალგვარ სისაძაგლეს სჩადის—აშკარაა და ნათელია, რომ ის არ გამოდგება წითელ არმიელების აღმზრდელათ და უნდა აუცილებლათ გაძევებული იქნეს მისი რიგებიდან. მაგრამ ეს ცოტაა. ის აუცილებლათ უნდა იქნეს მიცემული პასუხისგებაში და სასტიკი პასუხი მოეთხოვოს მას. ჩვენ წარმოებაში არის რამოდენიმე საქმე, სადაც ლოთობასთან ერთად ათასგვარი საზიზღრობა აქვთ ჩადენილი ზოგიერთ სამხედრო პირებს. რა თქმა უნდა ისინი მიიღებენ დამსახურებულ სასჯელს რევოლიუციონური მართლმსაჯულებისაგან, მაგრამ ჩვენ უფრო გვაინტერესებს, რომ ასეთ დანაშაულებრივ ქმედობას, როგორც არის სიმთვრალე—რომელსაც რა თქმა უნდა ვერ მოითმენს წითელი ლაშქრის ინტერესები, რაც შეიძლება ჩქარა მოეღოს ბოლო; აქეთკენ უნდა ჰქონდეს მიქცეული მთელი ყურადღება ყოველ პატიოსან და შეგნებულ სამხედრო მოსამსახურეს, რა თქმა უნდა ამასვე სასტიკად შეებრძოლება ლაშქრის უმაღლესი ხელმძღვანელობაც და რევოლიუციონური კანონიერებაც. მეორე დანაშაულებრივ ქმედობას ე. ი. მექრთამეობას არა აქვს ეპიდემიური ხასიათი, მაგრამ როგორც სჩანს ჩვენთან შემოსული საქმიდან ერთ-ერთ სამხედრო მაგიდის უფროსს „უსახელები“ თავი ამ „ხელობით“, რაზედაც მის წინააღმდეგ აღძრა საჩივარი ადგილობრივმა გლეხობამ.

რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საკითხი, რომელსაც უაღრესი ყურადღება აქვს მიქცეული ხელისუფლების და პარტიის მიერ, გულისხმობს მტკიცედ ვიდგეთ ამ კანონიერების დაცვის სადარაჯოზედ და მთელის შესაძლებ... ლობით შევებრძოლოთ ასე... დაუშვებელ მოვლენებს. ... გაფრთხილება ცნობათ უნდ... მიიღოს ჩვენი ჯარის ნაწილებ... მა, და განსაკუთრებით კი ტე... რიტორიალურმა ნაწილებმა... რომელთაც უშუალოთ უხდე...ბათ მუშაობა გლეხობასთან ა... ლოს, და რომლებმაც უნდ... დაარწმუნონ ეს უკანასკნელნ... რომ წითელი ჯარი მათი ინ... ტერესების დაცვისათვის არი... მოწვეული—რომ კავშირი წი... თელ ლაშქრისა და გლეხობი... შორის მტკიცე და ურყევი უნ... და იყოს ჩვენი საბოლოო მიზ... ნების განხორციელების უზრ... უნველსაყოფათ. რევოლიუცი... ონური კანონიერების განმტკი... ცება სადაც არ უნდა იყოს უშუალო საქმეა ყველა პატი... ოსანი და სახელმწიფოს ინტე... რესებით დაინტერესებული მო... ქალაქისა, კერძოთ კი წითე... ჯარში ერთხელ და სამუდამოთ... უნდა ბოლო მოეღოს ყვე... არა ნორმალურ მოვლენებ... რომლებიც ხელს უშლიან ... რევოლიუციონური კანონიე... რების განმტკიცების საქმეს. ... უმთავრესი ამოცანაა დღე... ჩვენი და ამ საკითხის მოგვა... რებაში აქტიურათ უნდა იქნე... ჩაბმული ყველა საქმით დაინ... ტერესებული სამხედრო პირი...

**დ. ხიხაძე.**

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ტოროლას.** თქვენი კორესპონდენცია „თავიდან უნდ... მოგვაშორონ“, გადაეცა ლეგიონის სამხკომს სათანად... ზომების მისაღებათ.

**ამხ. ღ. გიორგაძეს.** თქვენი წერილი ცუდი პურის შესახე... გადაეგზავნა პირველი დივიზიის შტაბს.

**ამხ. გ-ცა-ს.** წერილი „მოგვეცით პოლიტხელი“ არ გავა თ... არ გვაცნობებთ თქვენს ვინაობას.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

### ვის აქვს საწინააღმდეგო.

მეორე საარტილერიო ლეგიონის ახკომკავშირელთა უ... რედში, კავშირის წევრად მიღების შესახებ შემოტანილი აქვ... განცხადება შემდეგ ამხანაგებს: 1. ფუტკარაძე კონსტანტინ... გიორგისძეს (ღარიბი გლეხი. შორაპ. მაზრა. სოფ.საქარა) 2. კო... ახაშვილი სერგო ილოს-ძეს.

გთხოვთ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათ... კავშირში მიღების შესახებ გვაცნობოთ ლეგიონის ბიურ... კოლექტივში.

მდივანი **სტურუა.**

შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში მიღების შ... სახებ მე-4-ხე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტ-ორგანი... ზაციის № 1. კომუჯრედში ამავე ლეგიონის თავს ამხ. ალე... სანდრე კ. ზალინაშვილს (ზაალიშვილს). თუ ვინმეს აქვს ... ამხანაგის საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ... ვთხოვთ ცნობა გადმოგზავნოს მე-4-ხე ქართულ მსროლე... ლეგიონის ბიურო კოლექტივში დღეიდან ამ განცხადების გა... მოქვეყნებისა 15 დღის განმავლობაში.

მე-4-ხე ქ. მ. ლეგ. № 1 კომუჯრედის პ.-მდივანი

**გოგორიშვილი**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.